



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების  
მონიტორინგი  
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 8-14 ოქტომბერი, 2012 წელი

*პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012*  
*პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი*

**მონიტორინგის მეთავე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:**

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო;
- მნიშვნელოვნად მოიმატა კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" დათმობილმა დრომ და მკვეთრად შემცირდა მისი უარყოფით ტონში გაშუქება;
- მკვეთრად შემცირდა სხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო;
- შემცირდა ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის სუბიექტური გაშუქების ფაქტები;
- ტელეკომპანიათა უმეტესობაში გაიზარდა ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე ამბებისთვის დათმობილი დრო.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 8-14 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტების განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

**ანალიზი და მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

8-14 ოქტომბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. “პრაიმ-ტაიმის” პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

## რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

**საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 14 წუთი, კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 8 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 6-6 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და აჭარის მთავრობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი დაფიქსირდა, თუმცა ნეიტრალური ბევრად სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს:




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ( 89%) ჰქონდა:




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაირკვა, რომ ტელეკომპანია „25-ე არხი“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა შეისყიდა. ეს ფაქტი ჟურნალისტებმა გააპროტესტეს, რის გამოც 11 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ ორი სიუჟეტი გავიდა. ტელეკომპანიაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, „25-ე არხი“ აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო: ფაქტიურად ორჯერ მეტი, ვიდრე მომდევნო სუბიექტს. ამასთან, კოალიცია ნეგატიურ ტონში დათმობილი დროის 2% გაშუქდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი - 30%.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელია და რომელიმე სუბიექტის მიმართ პირად დამოკიდებულებას არ გამოხატავს.


**"რიონი" (ქ. ქუთაისი)** - ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (26 წთ.) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. 10 წუთი დაეთმო მთავრობის გაშუქებას, 8 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობის, 7 წუთი - პრეზიდენტის.



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ, თუმცა ნეიტრალურ ტონში გაშუქება სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს. პოზიტიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (43%) მთავრობის მიმართ დაფიქსირდა, ნეგატიური საუბრის კი - ადგილობრივი თვითმმართველობის (41%). კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას გამოვლინდა პოზიტიური (19%) და ნეიტრალური (80%) ტონები, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას ნეიტრალური (62%) და ნეგატიური (38%).




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო მთავრობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას. პირდაპირი გაშუქება მეტი იყო პრეზიდენტის (68%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (66%) შემთხვევებში. 75% პირდაპირი გაშუქება დაფიქსირდა ახალი მემარჯვენეების (გაშუქების 4 წთ.) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (გაშუქების 2 წთ) შემთხვევებში.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "რიონი" აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ისე ზოგადად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებულია, ჩანს ჟურნალისტების მცდელობა თანაბრად გააშუქოს ყველა მხარე. მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. იგი ორჯერ აღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფი სუბიექტისთვის დათმობილ დროს.

**ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) -** ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო (8 წთ.) კოალიცია ქართულ ოცნებას" დაუთმო. დაახლოებით 5-5 წუთი გადანაწილდა პრეზიდენტზე, ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე.






სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ, თუმცა გამოვლინდა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც. პოზიტიური გაშუქების 84% დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ.




სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების 92% ირიბ საუბარზე მოდიოდა.




8-14 ოქტომბრის განმავლობაში ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის ეთერში პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაშუქდა, დანარჩენი დრო კი სახელმწიფო უწყებების მუშაობას დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების გაშუქებისას ჟურნალისტის ტექსტი სუბიექტური და მიკერძოებულია. მაგალითად: 11 ოქტომბრის გამომშვებაში ჟურნალისტი ავტობიზნესს აანალიზებს და ამბობს, რომ ამ სფეროს განვითარებას ხელი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებმა, საკანონმდებლო ბაზის დახვეწამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სწორმა პოლიტიკამ შეუწყო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ დათმობილი დრო გაიზარდა და შემცირდა მისი ნეგატიურ ტონში გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი.

**"ოდიში" (ქ. ზუგდიდი)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ 4 სიუჟეტი მოამზადა. დაახლოებით ერთწუთიანი სიუჟეტი კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ალასანიას ზუგდიდში ვიზიტს მიეძღვნა. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა.


**"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე)** - ახალი ამბების გამომშვებებში ყველაზე მეტი დრო, 12 წუთი კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას დაეთმო, 6 წუთი - მთავრობას, 4 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური ბევრად სჭარბობდა პოზიტიურს და ნეგატიურს. მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ (გაშუქების 1, 58 წუთი) დაფიქსირდა 100%-იანი ნეგატიური ტონი.




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას იყო პირდაპირი / ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი.




8-14 ოქტომბრის მანძილზე ტელეკომპანია "მე-9 არხმა" თანაბრად გააშუქა რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. სიუჟეტები დაბალანსებული და მიუკერძოებელია, არ იგრძნობოდა ლოიალური დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ. ჟურნალისტები მოვლენებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ.


**"თანამგზავი" (თელავი)** - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (16 წთ.) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. 6 წუთის მანძილზე გაშუქდა მთავრობა, 4 წუთის - ადგილობრივი თვითმმართველობა, 3 წუთის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. თუმცა დაფიქსირდა პოზიტიური (კვალიცია "ქართული ოცნება", მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და ნეგატიური (ადგილობრივი თვითმმართველობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ტონებიც.




სუბიექტების გაშუქებისას თანაბრად გამოვლინდა პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები:




საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია „თანამგზავრი“ აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ისე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. სიუჟეტებში თანაბრადაა გაშუქებული ყველა მხარე. საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებულია. თუმცა კოალიცია "ქართულ ოცნებას" ყველაზე დიდი დრო დაეთმო, რომელიც თითქმის სამჯერ აღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფი სუბიექტისთვის დათმობილ დროს.


**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - ყველაზე მეტი დრო (11 წთ.) ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 10 წუთი წილად ხვდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 8 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ, თუმცა დადებითად და უარყოფითად გაშუქებაც დაფიქსირდა. გაშუქების ასივე პროცენტი ნეგატიური იყო ხელისუფლების (დათმობილი დრო - 6 წთ.) შემთხვევაში.




სუბიექტების გაშუქებისას მათზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. პირდაპირი - ირიბი საუბრის მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო კვალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თრიალეთი“ პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ კოალიცია „ქართულ ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გააშუქა. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის პოზიციები, თუმცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან შედარებით, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სამჯერ მეტი დრო დაეთმო. პოლიტიკური პარტიების გარდა, აქტიურად გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და არჩევნების დამკვირვებლების მუშაობაც.

**"გურია" (ქ. ოზურგეთი)** - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 9 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაუშუქებიათ. წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ადგილობრივ თვითმმართველობას.






კვალიცია "ქართულ ოცნებაზე" სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა გაშუქების 65% ნეიტრალური იყო.




კოალიციის გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი (41%) და ირიბი (59%) საუბრის მაჩვენებლები. მონიტორინგი სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროს გამო რთულია კვლევის შედეგების თვისებრივი ანალიზი.

**"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ერთი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა.


**"იმერვიზია" (ჭიათურა)** - საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (10 წთ.), ადგილობრივი თვითმმართველობა (8 წთ.), კოალიცია "ქართული ოცნება" (4 წთ.) და მთავრობა (3 წთ.).



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. გამოვლინდა პოზიტიური გაშუქებაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის (44%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (12%) მიმართ.




სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერით ოთხი საინფორმაციო გამოშვება გავიდა. გამოშვებებში გარკვეული სიუჟეტები (მაგალითად: საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, საკრებულოს სხდომა, სამარშრუტო ტაქსების და წყლით მომარაგების პრობლემები) გამეორდა, რამაც სუბიექტებისთვის დათმობილი დროის გაორმაგება გამოიწვია. სუბიექტები ნეიტრალურად იყვნენ გაშუქებული, არ იგრძნობოდა ჟურნალისტის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

**"არგო" (ქ. ზესტაფონი)** - არხმა ყველაზე მეტი დრო (3 წთ.) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ, მათთვის დათმობილი დრო ძალიან მცირეა:




კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების 87% ნეიტრალურ ტონზე მოდის, ხოლო გაშუქების ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე. მონიტორინგი სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროს გამო რთულია კვლევის შედეგების თვისებრივი ანალიზი.

**"ბორჯომი (ქ. ბორჯომი)** - ტელეკომპანიამ მონიტორინგის მხოლოდ ორი სუბიექტი გააშუქა: ადგილობრივი თვითმმართველობა (4 წთ.) და კოალიცია "ქართული ოცნება" (2 წთ.). მათზე სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა ნეიტრალური ტონი ბევრად სჭარბობდა ნეგატიურსა და პოზიტიურს. გაშუქების დიდი წილი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. კვლევის შედეგების სიმცირის გამო თვისებრივი ანალიზის გაკეთება რთულია.




**"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ერთი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა.

**"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი)** - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 11 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. გაშუქების 8 წუთი წილად ხვდა პრეზიდენტს, 7 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.




სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ. გაშუქების ნეიტრალური ტონი ყველაზე მაღალი იყო პრეზიდენტზე (89%) და კალიცია "ქართულ ოცნებაზე" (80%) საუბრისას.




## რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

პირდაპირი (80%) გაშუქება ბევრად მეტი იყო ირიბზე (20%) პრეზიდენტის შემთხვევაში. ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "გურჯაანი" გააშუქა როგორც რეგიონში, ასევე ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. დიდი დრო დაეთმო რეგიონში სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა საუკთარ პოზიციას გამოხატავდა.

**"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი)** - საანგარიშო პერიოდში 3 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო, 2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა. ორივე სუბიექტზე მხოლოდ დადებითად საუბრობდნენ, ხოლო გაშუქების დიდი წილი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. კვლევის მწირი შედეგები თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.




**"მეგა ტვ" (ქ. ხონი)** - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო (5 წთ.) კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 3 წუთი - ახალ მემარჯვენეებს, 2 წუთი - ხელისუფლებას.






რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტების გაშუქება სამივე ტონში ხდებოდა. თუმცა, ნეიტრალური და ნეგატიური სჭარბობდა პოზიტიურს. ნეიტრალური გაშუქების 95% დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში, 94% - ახალი მემარჯვენეების. დათმობილი დროის 67% ნეგატიური გაშუქება ჰქონდა ხელისუფლებას, 50% - ადგილობრივ თვითმმართველობას.




პირდაპირი და ირიბი საუბარი თითქმის თანაბარი იყო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას. ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას ირიბი საუბარი (82%) ბევრად მეტი იყო პირდაპირზე.




ტელეკომპანია „მეგა ტვ“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 10 მონიტორინგის სუბიექტი გაშუქდა. აქედან სახელმწიფო უწყებები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ძირითადად ნეგატიურ ტონში გაშუქდა, კოალიცია „ქართული ოცნება“ და სხვა ოპოზიციური პარტიები კი - ნეიტრალურ ტონში.

**"ზარი" (სამტრედია)** - არხმა მხოლოდ ორი სუბიექტი გააშუქა: კოალიცია "ქართული ოცნება" (12 წთ.) და მთავრობა (3 წთ.). კოალიციის გაშუქების 87% ნეიტრალური იყო, ხოლო მთავრობის გაშუქების 77% - პოზიტიური. უარყოფით ტონში საუბარი არც ერთი სუბიექტის მიმართ არ ყოფილა. ორივე სუბიექტის გაშუქებისას ირიბი საუბარი დაფიქსირდა.




საანგარიშო კვირაში ეთერში ტელეკომპანია „ზარის“ ორი საინფორმაციო გამოშვება გავიდა. 9 ოქტომბრის გამოშვებაში დარღვეული იყო ჟურნალისტიკის სტანდარტები - სამტრედიაში კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებული კონცერტის შესახებ 10 წუთიანი სიუჟეტი მომზადდა, საიდანაც 7 წუთი მხოლოდ სიმღერებსა და ცეკვებს დაეთმო. უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტებში ბალანსი არ არის დაცული, ჟურნალისტიკის ტექსტი კი სუბიექტურია. მაგალითად: კოალიცია „ქართული ოცნების“ კონცერტის გაშუქებისას ჟურნალისტი ამბობს, რომ გრანდიოზულ კონცერტზე (...) მომღერლების გამოსვლით შექმნილი მუხტი, კახი კალაძის გამოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა.

**"მე-9 ტალღა" (ფოთი)** - საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 12 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას". გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 2 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.




მთავრობის გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. კვალიცია "ქართულ ოცნებაზე" მხოლოდ პოზიტიურად (37%) და ნეიტრალურად (63%) საუბრობდნენ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას მხოლოდ ნეიტრალური და ნეგატიური ტონები დაფიქსირდა.



სუბიექტების გაშუქების პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები

მთავრობის შემთხვევაში თითქმის თანაბარი იყო. ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში - პირიქით.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "მე-9 ტალღის" საინფორმაციო გამოშვებებში საკუთრივ სიუჟეტების გარდა დიდი დრო დაეთმო რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის, გურჯაანის და ახალციხის ტელევიზიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს. ტელეკომპანიამ აქტიურად გააშუქა ფოთის პორტის თანამშრომლების გაფიცვა და მასთან დაკავშირებული ამბები. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტები დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტები კი მიუკერძოებელი.

**მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:**

15-21 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეათე ეტაპი.



*ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*